წელიწადი მეცხრე.— № 448

პარასკევი, 8 ნოემბერი, 1874

**გაზეთის ფასი**

გაგზავნით: ერთი წლით—ექვსი მან., ნახევარი წლით—სამი მან., სამი თვით—ერთი მან. და ხუთმეტი შაური, ერთი თვით—სამი აბაზი.

წერილები ამ ადრესით უნდა გამოგზავნონ:
Въ Тифлисъ, въ редакцію газеты „ДРОЭБА“.

**ხელის-მოწერა**

ტფილისში: გაზეთის „დროების“ კანტორაში
ქუთაისში: ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

გაზეთი შემდეგი ადრესით უნდა დაიბარონ:
Въ Тифлисъ, въ контору газеты „ДРОЭБА“.

რედაქცია: ძველი ინსტიტუტის ქუჩაზედ, სოლომონ მირიმანოვის სახლებში.

კანტორა: ივანოვის ბიბლიოთეკაში, სასახლის მოედანზე, შაბუროვის სახლებში.

# დროება

## შ ი ნ ა ა რ ს ი:

რედაქციისაგან.—ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო: ფოთის პორტის მიტოვება,—წვრილი ამბები.—„დ რ ო ე ბ ი ს“ კორრესპონდენცია: ქიზიყიდამ.—რ უ ს ე თ ი: წვრილი ამბები.—უ ც ხ ო ქ ვ ე ყ ნ ე ბ ი: საფრანგეთი,—გერმანია,—ესპანია.—ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ც ხ ო ვ რ ე ბ ი დ ა მ: ქართველები მონგოლების დროს.—ნ ა რ ე ვ ი.—განცხადებანი.

ფელეტონი: ცხელ-ცხელი ამბები—აკაკისა

---

ჩვენს თანამშრომლებსა და კორრესპონდენტებს კიდევ უმეორებთ თხოვნას, რომ ხელ-მოუწერელ სტატიებს ნუ აგზავნიან რედაქციაში. იმათ ნებაზედაა დამოკიდებული—გამოაცხადონ გაზეთში თავიანთი ნამდვილი გვარი ან მოგონილი სახელი (ფსევდონიმი), მაგრამ რედაქციამ კი ნამდვილი სახელი უთუოთ უნდა იცოდეს.

---

# საქართველო

### ფოთის პორტის მიტოვება

ფოთის პორტისა და იმერეთის ბანკის ბედი ბევრის მხრით ემსგავსება ერთმანეთს: როგორც ერთი ისე მეორე დიდის ვაი-ვაგლახითა და ყვირილით დაიწყეს; ერთიც და მეორეც თავიდამვე ისეთი კაცების ხელში ჩავარდა, რომელთაც თავიანთი საქმე და მოვალეობა ძალიან ნაკლებათ იცოდნენ; ერთიც და მეორეც წვალობს დღემდი და კაცმა არ იცის—მიეცემა იმათ საქმეს ოდესმე დასასრული, თუ არა? ისინი, ვისაც ბანკზე რაიმე გავლენა ჰქონდათ, უფრო იმითი არიან გამოჩენილნი, რომ უთავბოლოთ ბანკს რამდენიმე ათასი თუმანი ჩამოაკლეს და პროექტის შესადგენელად ხან ერთს მიადგებოდნენ და ხან მეორესა; უსარგებლოთ ფულების ხარჯვა და უთავბოლოთ პროექტების შედგენა არც ფოთის პორტის ამშენებლეს დაუკლიათ.

აქ თავდება მსგავსება: იმერეთის ბანკის საქმეს, როგორც იქნება, უეჭველია, დასასრული მიეცემა; ეს ბანკი—მტკიცე საფუძველზე იქნება თუ სუსტზე—თუ მალე არა, ოდესმე მაინც დაფუძნდება.

მაგრამ ფოთის პორტს კი, როგორც სიმის [?], სულ სხვა დასასრული მოელის. ნამდვილი, ოფიციალური წყაროდამ ამბავი ჯერ არა ვიცით რა; მაგრამ ამბობენ კია, რომ მთავრობას ფოთთან ნავსადგურისა ანუ პორტის აშენების განზრახვა მიუტოვებიაო, რომ, უფ. შავროვის შემდეგ მოთავე ინჟინერა, უფ. ჭარინცევი ხელის აღებას აპირებს მუშაობაზეო.

ამასთანავე ამბობენ, პროექტი არისო, რომ ფოთის ნაცვლად, სოხუმში გააკეთონ ნავსადგურიო.

ამის მეტის თქმა ამ საგანზე ჯერ-ჯერობით არაფრისა არ შეგვიძლია, და საუბედუროთ, დაბეჯითებით ვერც იმას ვიტყვით: თუ რამდენათ სარწმუნოა და დასაჯერებელია ეს ხმები.

გაზეთს აქვს უფლება მოიყვანოს „ხმები“ და „ნალაპარაკევი“, თუ განსაკუთრებით ეს ხმები ისეთ საზოგადო და ყურადღების ღირს საგანს შეეხება, როგორც, ვსთქვათ, ზემომოყვანილი ამბავი....

მეორე ყურადღების ღირსი და ამასთანავე უფრო ნამდვილი ამბავი სოხუმიდამ ქუთაისამდი რკინის გზის გაყვანის განზრახვაა. ბეჯითად შევიტყეთ, რომ იმ ინჟინრებს, რომელნიც ამ გზის გამოსაკვლევად იყვნენ გაგზავნილი, სოხუმიდამ თეკლათამდი გამოკვლევა მოუხდენიათ. ისმის, და ეს ამბავი ქუთათურებს უნდა ახარებდეს, ისმის, რომ ეს სოხუმიდამ წამოსული გზა ჯერ ზუგდიდსა და ხონს გადასჭრის და მერე უთუოთ ზედ ქუთაისზე გამოივლის და ფოთი ტფილისის მთავარ რკინის გზას შეუერთდებაო.

უეჭველია, რომ ამ გზის გაყვანას რაიმე დაახლოვებითი კავშირი უნდა ჰქონდეს იმ გარემოებასთან, რომ ფოთში ნავსადგურის კეთებას სტოვებენო და მის მაგიერად სოხუმში აპირებენო.

რაღა ეშველება საწყალ ფოთს!.....

რამდენათაც ფოთს დააკლდება ამ გარემოებით, იმდენათ ქუთაისს მოემატება, თუ რკინის გზა მართლა სოხუმიდამ ზედ ქუთაისზე გამოიყვანეს.

დიდი ხნიდამ დაღონებული ქუთაისი, იმედია, ცოტას მაინც მოითქვამს სულს, ცალ თვალს მაინც გამოჭყეტს, ცოტაოდენი იმედი და მხნეობა მაინც მიეცემა....

ვნახოთ—რა იქნება!

ს. მესხი

---

ჩვენ შევიტყეთ, რომ უფ. ვლასტოვი, რომელიც ქუთაისის გუბერნიის სამოქალაქო ღუბერნატორათაა დანიშნული, ეხლა აქ არის და ამ კვირაში უნდა წავიდეს ქუთაისს, გუბერნიის ჩასაბარებლად. რაც დღემდი ღუბერნატორს სამხედრო საქმეები ჰქონდა, ყველა იქაური სამხედრო ნაწილის უფროსისთვის, უფ. ჩერეპანოვისთვის, ჩაუბარებიათ.

*
* *

საჭიროთ ვრაცხთ, ჩვენი ქალაქის მცხოვრებლებს მოვაგონოთ, რომ ამა ნოემბრის თვრამეტს (18) ქალაქის მოთავისა და დეპუტატების ამორჩევა იქნება.

*
* *

სოხუმიდამ მოგვივიდა ამბავი, მაგრამ ეს ამბავი, მგონია, რაჭასა და გურიას გარდა, მთელ საქართველოს შეეხება: ამბობენ, სასოფლო გზები საძაგელ მდგომარეობაში არისო. ზოგან გზები უნდა იყოსო, მაგრამ მოგზაურს ეს გზები ვერ უნახავსო. გურიისა და განსაკუთრებით რაჭის მაზრაში კი კარგ სა'ოფლო გზებს ამბობენ.

*
* *

გავიგონეთ, რომ ახალციხის საქალებო შკოლის დამაარსებელი და გამგებელი—ა. მესხელოვისა—ამ მოკლე ხანში სტოვებს ახალციხეს და მასთანვე შკოლასაც. იმი მოადგილედ შკოლაში, როგორც ამბობენ, ნ. კალანდარაშვილისა იქნება. ვსურვებთ, ამ უკანასკნელსაც ისე გულ-მოდგინეთ და თავიანათ წაეყვანოს ახალციხის საქალებო შკოლის საქმე, როგორც ა. მესხელოვისას მიჰყავდა.

ამბობენ, ა. მესხელოვისა გორს აპირებს გადმოსვლასო. რა კარგი იქნება, იქაც რომ ერთი ამისთანა შკოლის გამართვა მოახერხოს!...

*
* *

ეს ორ კვირაზე მეტია, რაც ჩვენს ქალაქში მშვენიერი ტაროსია. თუმცა ცოტა არ იყოს აგრილდა, განსაკუთრებით საღამობით ზამთრის მოახლოვების ნიშნებია, მაგრამ დღისით კი ჩვენი მშვენიერი მზე ისე ათბობს, რომ ზოგიერთები ალექსანდრეს ბაღში უპალტოოთ გამოდიან...

*
* *

ჩვენ გავიგონეთ, რომ მთავრობას აქაური ცეცხლის მქრობლების კამანდის უფროსი პეტერბურღში გაუგზავნია, უფ. პეტერბურგის პოლიციმეისტერთან, ტრეპოვთან, რომელთანაც უნდა შეისწავლოს ცეცხლის ქრობის ხელობა და ამას გარდა ახალი ცეცხლის საქრობი მაშინებიც უნდა მოიტანოს.

*
* *

„მოსკოვის უწყებებში“ სწერენ, რომ რუსეთში შემდგარა „კავკასიის წარმოების საზოგადოება“, რომელსაც თავის წესდების პროექტი მმართებლობასთან შეუტანია დასამტკიცებლად. როგორც ზემოხსენებული გაზეთი აცხადებს, ამ საზოგადოებას ჰსურს, იყიდოს კავკასიაში უდაბნო ადგილები, სხვა-

---

# ფელტონი

### ცხელ-ცხელი ამბები

ჩინებული გზა გააკეთეს შორაპნის მაზრაში. აქედამ ერთი ბატონი მიადგა, იქედამ—საჩხერიდამ იმისი თანა-შემწე მოადგა, მიაყოლეს ორივემ ყვირილას, ბოსლევში შეიყარნენ და კიდეც გაათავეს... გზა სწორეთ რომ სამაგალითოა: ერთი ცხენი თავამდ გაივლის, თუ წინ მეორეც არ შეეყარა. ხელოვნებით მიხვეულ-მოხვეული გზა გველივით იკლაკნება ხან იქითა და ხან აქეთ. რაღა ბევრი გავაგრძელოთ, ერთის სიტყვით, მთელი შორაპნის გულის სარკეა!....

იმ კვირაში მეც შემხვდა ამ გაჭრილის გზით გაგოგება:—სამ მანათად ვიქირავე საჩხერემდი შორაპნიდამ ცხენი და, მადლობა ღმერთს, რომ მეტი არა მთხოვეს;—კიდეც გადამიძახა სამჯერ; ორ გადაგდებაზედ ვერ ვიქებ თავს და მესამეთ კი სწორეთ მარჯვეთ ვიყავი: როგორც კი დააპირა ცხენმა მესამეთაც წამოქცევა, ვიფიქრე თუ ეს სირცხვილია ჩემთვის, რომ ამ ცხენმა მესამეთაც დამასწროს წამოქცევა და მაჯობოს მეთქი; გაფიქრება და ასრულება ერთი იქნა; მე დავასწარი: სანამ ის წამოიქცეოდა, მე ძირს მიწაზედ ვიყავი. გამოვიანგარიშე, რომ ან თავით თუ დავეცი და ან ფეხებით, შეიძლება ვილრძო რამეთქო და რაღგანაც ზურგი კი ერთიანი ფიცარია, ქონ-ხორცის გამოისობით და უფრო რბილიც, ამისთვის ზურგით დავახტი მიწას, და მიწამაც იმ დროს იმასთანა ბრეგვა შეადინა, რომ, ჩემის ჰაზრით, ის ადგილი უბრალო ადგილი არ უნდა იყოს და თუ მადნების მჩხრეკელები მარჯვეთ იქნებიან, იქ რამე მადენს იპოვნიან....

არა, ერთობ მარჯვეთ ვიყავი! ერთობ! მოწმებიცა მყავს: იმ დროს იქ ჩემს სიახლოვეს გლეხ-კაცებიც მიდიოდნენ და როგორც შევატყე, ისე კი მოეწონათ ის ჩემი სიმარდე, რომ კიდევ გამემეორებია, სასიამოვნოთ დარჩებოდათ.

ღმერთმა უშველოსთ, ძალიან თანა-გრძნობა მიჩვენეს, ბევრიც იცინეს და ბოლოს ერთმა მათგანმა წაიბუტბუტა:

— მართლა და რომ ის ცხენი პირუტყვი ყოფილა; ამისთანა დიდი კაცი რომ ვერ გაუტანია, მე როგორღა უნდა ვენდო, საწყალი გლეხი-კაცი? მაგრამ მარტო ეგ არ არის პირუტყვი, ჩვენც პირუტყვები ვართ, მე და ჩემმა ღმერთმა, გლეხებიო!

ეს სთქვა და ცბიერებით დამიწყო ყურება. მეც მოუბრუნდი და ვკითხე:

— რათ ილანძღავ თავს, ძმაო!

— როგორ არ გავილანძღოთ, რომ არა გვესმის რა, აღარც ბატონი ვიცით და აღარც პატრონი! განაგრძო ცბიერებით. გაფუჭდა დრო! ნწუ! ნწუ! ნწუ! ვაი ბეჩა! სადა ხარ ბატონ-ყმობის უწინდელო დროვო! კარგი იყო, ვინც მიხვდებოდა! ახლა არევ-დარევა არის! ხალხი გაბრიყვდა.....

— როგორ თუ გაბრიყვდა?

— აი, ბატონო, როგორ: ამ ბიჭებს ხომ ხედავთ, ურემს რომ მიაჭრიჭინებენ? სანადელო მეთხედის ჩალა მიაქვთ ბატონთან, ორი საათია, რაც მოდიან, ოთხიც უნდა კიდევ იარონ და ექვსი საათის მოთმინება აღარა აქვსთ! საყვედურს ამბობენ თავის ბედზედ! იმე! ის კი არა თუ, ვენაცვალე მის ბატონობას, ჩემს ბატონს იამება და იმას მალე მივართმევო. ნწუ! ანპა!.. ამის გრძნობა ვინ მისცა გლეხს! პურტყვია და პურტყვი! აწი, ბატონო, რომ ღმერთმა ინებოს, ვითომ აღარ დაგვიბრუნდება ის ბატონობის ბედნიერი, სანატრელი დროება?

ცბიერმა მოგზაურმა ამ გვარი საცბიერო რამეები ბევრი მომიყვა და ჩემგან რომ პასუხი ვერა მიიღო რა, ვინაობა მკითხა. ჩემი სახელი და გვარი რომ გაიგონა, გაწითლდა, ბოდიში მოიხადა და საყვედურსავით მითხრა:

— შე დალოცვილო, ამდენი ტყვილი რომ მალაპარაკე! თუ ეს და ეს კაცი ბრძანდებოდი, ადრევე გებძანებია!

— კარგი, ვთქვათ, რომ მე სხვაც ვინმე ვყოფილიყავი, ძალას ვინ გატანდა, გლეხებს გმობაზედ?

— როგორ თუ ვინ მატანდა, შენი ჭირიმე? განა თქვენ კი არ მოგეხსენებათ, რომ ჩვენი აზრი და სურვილი გულში უნდა მოვიკლათ და ენით კი სულ სხვა უნდა ვიტი-

თა შორის ყარაბახის ტრიალი მინდვრები, აგრეთვე ლენკარანის და შემახიის უეზდებში, წყალი გაიყვანოს, მორწყოს, დაასახლოს და რისიმე წარმოება დაიწყოს. პროექტით საზოგადოებას სამ მილიონ ნახევარი თავნი ფული უნდა ექნეს. პირველი ათი წლის განმავალობაში, საზოგადოება არავითარ ხარჯს არ მისცემს; თუ იმ ადგილებს, რომელსაც მთავრობა დაუთმობს, საზოგადოება ათი წლის განმავალობაში გაანოყიერებს, მაშინ ეს ადგილები სამოცდა სამი წლის ვადით საზოგადოებას საკუთრებათ დარჩება და შემდეგაც, თუ მოისურვებენ, კიდევ 21 წლის ვადით შეუძლიანთ ისარგებლონ.

ამისთანა საზოგადოება ამ უკანასკნელ წელიწადებში რამდენიმე შესდგა რუსეთში, მაგრამ როგორღაც ვერ იხეირეს....

***

რუსული წარმოდგენები და კონცერტები ხელ-ახლავ დაიწყო აქაურ მუზიკალური საზოგადოების ზალაში. ამბობენ, საზაფხულო თეატრს მალე საზამთროთ მოაწყობენ და მერე იქ იქნება წარმოდგენებიო.

***

ერთი ამბავი შევიტყეთ: ვითომც ახალი წესდება მოსულა, რომლის ძალითაც ჩვენებურ საქალებო სასწავლებლებში (გიმნაზიაში, ინსტიტუტში და ზავედენიებში) ლათინურისა და ბერძნული ენების სწავლა უნდა შემოიღონ. ამბობენ, ჯერ-ჯერობით ამ ენების სწავლა შაგირდებისა და იმათ დედ-მამის სურვილზე იქნება დამოკიდებულიო, ვინც მოისურვებს (?), მხოლოთ იმას ასწავლიანო.

***

წლევანდელ მოსავალზე საზოგადოთ ყოველი მხრიდამ კარგი ამბები მოგვდის. ამ კვირაში მოსული ამბები გვაცნობებს, რომ ზურიაში ღვინო და ღომი ბლომათ მოუყვანიათ, და Იმერეთში იმდენი ღვინო მოსულა, რამდენსაც ამ უკანასკნელი ოცი წლის განმავალობაში არ მოსწრებიან.

***

სოფ. მუხურიდამ (შორაპნის მაზრიდამ) მოგვივიდა კორრესპონდენცია, რომლიდამაც შემდეგი ყურადღების ღირსი ამბები მოგვყავს:

„ამას წინათ სოფ. ჩხარში ერთი გლეხი ვნახე, რომელმანც შემდეგი მიამბო: ჩემ სახლი-კაცს შვილი არ შერჩა, და ეს კუდიანობას დააბრალა. მივიდა მღვდელთან და ჰკითხა — თუ რა უნდა ჰქნას იმ უბედურმა კაცმა? მღვდელმა უპასუხა: ეს კუდიანებისაგან იქნება. წადი, ამოთხარე საფლავი და თავი მოსჭერი იმ კუდიანს, რომელიც შენი სახლში ყოფილა, თორემ შვიდ წლამდი როგორც ცოცხალი, ისე გავნებს... გლეხს გაბრიყვდა: მართლა ამოთხარა საფლავი და მიცვალებულს თავი მოსჭრა. ახლა ამაზე გამოძიებაა დანიშნული და ის მღვდელი გარდაყენებულია.

„მეორე შესანიშნავი, ძველი კერპთ-თაყვანის-მცემლობისაგან დარჩენილი ცრუმორწმუნება არის, რომ სანამ აქაური გლეხები თესვას შეუდგებოდნენ, ერთ უქმ დღეს ამოარჩევენ, მღვდელს აწირვინებენ, თითო მოსახლე თითო მამალს წირვაზე მოიყვანს და წირვას მოასმენინებს; ნაწირვებს ყველა თავ-თავის მამალს ღვინით დაათრობს და გალავანში გაუშვებენ. Უნებურად მოუვა კაცს სიცილი, როცა ხედავს დამთვრალ მამლებს, რომლებიც დაბარბაცობენ და ჰყივიან. ბოლოს ერთმანეთს დაერევიან, წაეკიდებიან და ისე გახდიან რთმ, ერთმანეთს სისხლს ადენენ ბიბილოებზე. ვისი მამალიც ყველას მოერევა, ის მღვდელს სადილს აჭმევს და დარწმუნებულიც არის, რომ იმ წელს ყველაზე უკეთესი მოსავალი იმას მოუვა და ყველაზე მშვიდობითაც იცხოვრებს.“

***

ზუშინწინ, ავლაბარში, გაქანებულმა ფაეტონმა ერთი ახალგაზდა მოსწავლე ქალი წააქცია და ცალი ფეხი მოამტვრია. ეს პირველი მაგალითი არ არის, რომ მეფაეტონეები ჩვენს ქალაქში ფეხით მოსიარულეებს ყურადღებას არ აქცევენ და თუ ვისმეს დაეჯახებიან, არას დასდევენ. Იმედია ამ გვარ მოვლინებას პოლიცია ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს...

***

გაზ. „კავკაზის“ მე-127 ნომერში დაბეჭდილია სიღნაღის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის, თ. რამაზ ანდრონიკაშვილის წერილი, რომელშიაც ის Თფილისის ვაჭრობას სიღნაღის თავად აზნაურობის თანაგრძნობასა და მწუხარებას უცხადებს იმის გამოისათ, რომ ამ ვაჭრობას Თამამშოვის ქარვასლის დაწვისაგან ზიანი მიეცა...

***

ქუთაისიდამ გვწერენ:

„21 ოქტომბერს ქუთაისში იყო ქართული წარმოდგენა. წარმოადგინეს უ. სუნდუკიანცის კომედია „პეპო“, სომხურიდამ გადმოთარგმნილი. პიესა საერთოთ კარგათ წავიდა; განსაკუთრებით დაიმსახურეს ხალხის ყურადღება უ. ბარხუდარიანცმა, ქალმა არამიანცმა და უ. ქურციკიძემ. უ. ქურციკიზე თამაშობდა „პეპოს“ როლს, ზოგიერთ სცენებში კარგათ და ზოგიერთში კი სუსტათ, რადგან გამოთქმა ეძნელებოდა. სხვა მოთამაშეებსაც არ წაუხდენიათ თავ-თავისი როლი. ერთი სიტყვით, პიესა კარგათ წავიდა, მხოლოდ ხალხი ცოტა იყო. ეხლა ქუთაისში ცირკია და ხალხი იმას აწყდება,— აბა ქართულ წარმოდგენებს ვინღა მიაქცევს ყურადღებას! ვინც დაესწრო წარმოდგენაზე, ყველამ კარგი აზრი გამოიტანა პიესაზე. განსაკუთრებით პეპოს ხასიათმა დაიმსახურა ჩვენი საზოგადოების თანაგრძნობა.

„ერთი ახალი ამბავიც: ამ ცოტა ხანში აქ Ოსტროვსკის კომედიის“ შემოსავლიანი ადგილის (Доходное мѣсто) წარმოდგენას აპირებენ.

## „ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ“ ᲙᲝᲠᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ

ქიზიყიდგან, 26 ოქტომბერს

წავიკითხე რა „დროების“ მე—446 ნომერში ქიზიყიდგან კარგა ხანია სწორე ამბავი აღარა მოგვსვლია რაო, ამან გამაბედვინა ამ ორიოდე სიტყვის თქვენთან მოწერა.

საზოგადოთ უნდა გითხრათ, ამ უკანასკნელ დროს საწყალი ქიზიყი ძალიან დაეცა. Აგერ მეორე წელიწადია, რაც ქიზიყში რიგიანი მოსავალი არა ყოფილა; წარსული წლების მოუსავლობა კარგათ იციან „დროების“ მკითხველებმა: წელს ქიზიყში, ზოგიერთ სოფლებს გარდა, არაფერი არ მოსვლიათ რა პურიდგან, ქერიდგან თუ ფეტვიდგან მოვიდა ღვინო, მაგრამ რა რომ ღვინო პურობას ვერ გაუწევს ხალხს, თუ არ გაყიდეს და ყიდვით კი არავინ იყიდის, რადგანაც შიმშილისაგან ძას-დატანებულმა ხალხმა ჯერ შემოუსვლელი ყურძენიმოკრიფა და ამის მიზეზით კარგი ღვინო ვერ დააყენა. ვიყავი დამსწრე, რო სირაჯები ეუბნებოდნენ ღვინის პატრონებს: მუქთადაც რომ მოგვცეთჩვენ მაგ ღვინოებს ვერ წავიღებთ ქალაქშიო!

ამ უბედურებას დაუმატეთ ახლა ძალ-დატანებითი ხარჯის აკრეფა, რომელსაც მამასახლისები თავის მოსაწონებლად აკრეფევენ. ვადა ნახევარი ხარჯის შეტანისა პირველი სეკტემბერია და ნახევრისა დეკემბრის ცამეტი. მაგრამ მამასახლისები ცდილობენ, მთავრობასთან თავის გამოსაჩენათ, სულ ერთად მალე აკრიფონ და შეიტანონ და არა ზოგავენ არავითარ საშუალებას ამ საქმისათვის. ქვაბი, საფენი, ლოგინი, ცხვარი, ღორი, ღვინო თუ სხვა რამ სულ ხარჯის ფულის დაგვიანებისათვის ერთმევა საწყალ ხალხსა; ესენი გირავდება სოფლის დუქნებში, სადაც სხედან მოხელეები და ქუდს ჰერს ესვრიან.

ვისაც უჭირდება ორი მანეთის ხარჯის მიცემა, მინამ იმ ორ მანეთს ჩააბარებდეს, ოთხი მანეთისას გაიტანენ იმის სახლიდგან. ქვემო-მაჩხაანში ერთი გლეხი კაცისათვის, რომელსაც შვიდი მანეთი ხარჯის ფული უნდა მიეცა, წაურთმევიათ ერთხელ ცხვარი, მეორეთ ქვაბი გაუტანიათ და დაუგირავებიათ; ასე რომ რასაც მისაცემს ყოფილა, თითქმის ერთი იმოდენა შეუჭამიათ მამასახლისებს და გზირებს.

სოფლის ღვდლებს მიეცათ ნება და საშუალება—თავიანთ განწესების (კოდი პურისა და სამი აბაზი ფულის) აკრეფისა. Ღვდლებს ზოგიერთმა რიცხვმა ეს საშუალება ძალიან სასტიკად მოიხმარა; ესენიც ართმევდნენ საწყალ ხალხს, რასაც მოასწრობდნენ. Ახლა, ბატონო, ერთი წლისას ხომ აღარ სჯერდებოდნენ, ძალა ხელთ იგდეს და ათი წლის დარჩომილ ორ შაურსაც ეხლა ართმევდნენ. მეგავიგე, რომ ერთ სოფლის მღვდელს სულ ფქვილები გამოუზიდვინებია გლეხებისაგან, რომელთაც იმის მეტი საზდო აღარც კარში ჰქონიათ და აღარც შინა. ქიზიყელებს თავის დღეში, არა თუ არ ენახათ, გაგონითაც არ გაუგონიათ ღვდლებისაგან სახლში ჩაყენება („ზეკუცია“—ეკსეკუცია.) ახლა კი, მოგვეცათ ღვთის წყალობა, კარგა გაიგეს.

აქ ეხლა კარგი ამიდებია, ხალხი ამბობს: ამისთანა კარგი შემოდგომა არ ყოფილა კარგა ხანიაო. ბალახი კარგი მოვიდა საქონლისათვის, ბალბა და ხილი დიდ შემწეობას აძლევს ხალხს. მომავლისათვის კარგი იმედია მოსავლისა, მაგრამ ახლამდის ჯერ შორია და კარგათ იცით, მარტო იმედი მაძღრათ ვერ შეინახავს დიდხნობამდის კუჭსა.

მგზავრი

---

ტინოთ? ახლა ისეთი დრო არის, რომ შეიძლება ერთმა ალალმა სიტყვამ სულ ძირიანათ ამოაგდოს კაცი! მოდი ახლა შენ და ნუ იცრუებ თავად-აზნაურთან!..

— რათა? საჭიროა მაინცა და მაინც?

— როგორ თუ რა საჭიროა, შე დალოცვილო!.. განა არ იცი, რომ ძალა ხშირად ჯერ კიდევ აზნაურობის ხელშია და იმათ კიდევ დიდი გასავალი აქვთ?....

— რათა!

— რათა და მათა, რომ იმათ წმინდა საინები აქვთ და ჩვენ ხის ჯამები, იმათ დამოკიდებულება აქვთ და ჩვენ თავში ქვა, იმათ ფლავი აქვთ და ჩვენ კორკოტიც გვიჭირს!... ეჰ, მე რაღა გელაპარაკოთ, თქვენ უკეთ იცით.....

აქ ჩემმა მოგზაურმა გამოცვალა მუსაიფის კილო და ბევრი რამ საგულისხმო მითხრა მათის ცხოვრების შესახები და ბევრიც იტაფარიკა თავად-აზნაურობის ზურგზედ. ბოლოს მოიფხანა და ბოლოს მკითხა:

— ბატონო, ე რო მოგახსენებენ, მიწები გლეხებ უნდა დარჩესო, მუქთათ მართალია თუ არა?

— ვინ გითხრათ?

— ასე მოგახსენებენ და მართალია თუ არა, ის ჯერ ვინ იცის?

— Თავი აუგდია, ვინც გატყუებსთ!

— შენი ჭირიმე? აბა გვატყუებენ? Უნდა მოგახსენოთ, რომ ეგ საქმე არ გვაჩერებდეს ნახევარსაც გვექნებოდა თავი დახსნილი აქამდი და ჩვენთვისაც კარგი იყო, თორემ მაგის შემჩერეს ხელი არღარაფერზედ გვეკიდება. შუამავლები. . . . .

— Ყველა შუამავლები ეგეთები არიან?

— არა, ბატონო! ერთი ძალიან გიახლოთ ეხლა! მეფის კარზედ ნამსახური ყოფილა და კიდეც ეტყობა. ერთის სიტყვით, მამაა გლეხებისთვის; მისანა რომ ბევრი იყოს, საქმე სულ სხვებ წავიდოდა!

— როგორ?

— აი როგორ: ზოგიერთი ჩვენებური კაცი ადგილს რომ მიიღებს, ისე იბერება, რომ, ვაი გაჭირვებას თვალი დაუდგეს, თორემ მასთან ახლოს მისვლა საშიშია! ეს კი ისეთია, ბატონო, რომ რაც უნდა იყოს გაგაბედვინებს! მეტად ტკბილი კაცია და ღვთის ნიერი! ქრისტემ დიდი დღე მისცეს, რაც არ ვიცით, გვასწავლის, შეგვაგონებს ხოლმე და საქმის გამრიგებლები არ უყვარს.

— როგორ თუ საქმის გამრიგეები?

— როგორ და ბევრი თავად-აზნაურია ახლა უსაქმური, თქვენც მოგეხსენებათ. ამისთანა კაცები მიეკედლებიან, აედევნებიან ხოლმე შუამავლებს, ემსახურებიან და საქმეს არიგებენ. Თვითონაც არ რჩებიან ხელ-ცარიელები და შუამავალსაც კარგათ რჩებიან... აქამდი კარგი დრო ჰქონდათ, მარა ამის ხელში კი ლილა გაუცივდათ: ამას წინეთ ერთს გამრიგეს უთხრა: ჩემსა და გლეხებს შუა სხვა შუამავალი არაფერი საჭირო არისო. გამოუტანა ცირკულიანი და წაუკითხა: თუ ჩემ საშუამავლო საქმეებში გაერევი და საქმეებში ხელს შემიშლი, ამის ძალით აქედამ ოც და ოთხ საათში გაგაქანებო! მისთანა თქვენმა მტერმა გაიგონოს იმ აზნაურმა გასაგონი გაიგონა: რაღა გზა ქონდა, გამოეცალა, გადააჯდა თავის ცხენსა და ამოძუებული წაბძანდა შინისკენ. ახლა, ბატონო, ამისთანა კაცები დადიან და აგონებენ ხალხს, რომ ის შუამავალი არ ვარგა და თუ ის დარჩა, გლეხებს მიწებს აღარ მისცემენ, უმისოთ კი იმათ დარჩებათო!

— მერე თქვენ გჯერათ ეგეები?

— არა ბატონო, კარგათ ვიცით, რომ გლეხს ისინი მოსარჩლეთ არ გამოადგება!!...

ამ გლეხ-კაცთან საუბარმა ძალიან ჩამაფიქრა......

აკაკი

# რუსეთი

პეტერბურღის გაზეთებიდამ ვტყობულობთ, რომ მედიკო-ხირურგიის აკადემიაში არეულობა არისო. პირველად ეს არეულობა მეორე კურსის სტუდენტებს დაუწყიათ წარსულს ოქტომბერს იმისგამო, რომ ფიზიოლოგიის პროფესსორი არ მოსწონდათ და უნდოდათ, რომ გამოეცვალათო. ამ დღეს, როცა ეს პროფესსორი შესულა აუდიტორიაში ლექციის წასაკითხავად, სტუდენტებს ერთი სტვენა, ხველა და ყვირილი დაუწყიათ; ერთი სიტყვით, ლექციის წაკითხვა არ უცლიათ და შემდეგ თითქმის ყველა სტუდენტები (500 კაცამდი) აკადემიის უფროსთან მისულან და თავის თხოვნა განუცხადებიათ, რომ პროფესსორი Cიონი გარდააყენონ.

ამ არეულობის გამოისობით, როგორც იწერებიან, მეორე კურსი ეხლა დაკეტილია და მთავრობას გამოძიება დაუნიშნავს. 24 ოქტომბერს არეულობა კიდევ გათავებული არ ყოფილა.

* * *

ერთი გაზეთი გვაცნობებს, რომ მთავრობას განზრახვა აქვსო, რომ რუსეთში ვალდებულებითი სწავლა შემოიღოსო, ე. ი. ჰსურსო ყველა დედ-მამა მოვალეთ გახადოს რომ წერა—კითხვა მაინც ასწავლონ თავიანთ შვილებს. ამ ახალ წესის შემოღებამდი, განათლების სამინისტროს უნდა, რომ ჯერ-ჯერობით ვალდებულებითი სწავლა მარტო პეტერბურღის გუბერნიაში შემოიღოს. ყველა ამ თავითვე დარწმუნებულია, რომ ეს საქმე კეთილ ნაყოფს გამოიღებს, თუ კი ყველგან შკოლები და მასწავლებლები იქნა.

* * *

მოგილევის გუბერნიაში 1289 სოფლის საზოგადოებას გარდაუწყვეტია, რომ ლოთობისათვის გლეხებს დანიშნული სასჯელი მიეაყენოთო. ზოგან კი პირობა დაუდვიათ რომ ჩვენს სოფელში სამიკიტნოების გახსნის უფლებას არავის მივსცემთო.

* * *

უფიმის ღუბერნატორის მეცადინეობით ქალაქს უფაში საზოგადოება შემდგარა, რომელმანც ფულები უნდა მოაგროვოს ყოველ წლობით და იქაური გიმნაზიის ღარიბ მოსწავლეებს შეეწიოს. ერთ იქაურ მცხოვრებს უფ. ბაზილევსკის ამ კეთილი საქმის სასარგებლოთ ამ თავითვე ათასი მანეთი შეუწირავს.

* * *

„მოსკოვის უწყებები“ დიდის სიხარულით გვაცნობებენ, რომ სამარის საქალებო გიმნაზიაში ბერძნული და ლათინური ენების სწავლა შემოუღიათ. ჯერ-ჯერობით ამ ენების სწავლა ვალდებულებითი არ არისო, ვინც სურვილს გამოაჩენს, მხოლოთ იმათ ასწავლიანო...

# უცხო ქვეყნები

## საფრანგეთი

პა-დე-კალეს დეპარტამენტში დეპუტატის ამორჩევა გათავებულა. 84 ათასი კენჭის უმეტესობით 74 კენჭზე ბონაპარტისტი Dელისს-აგრანი ამოურჩევიათ. ბონაპარტიელები აღტაცებული არიან. რესპუბლიკური გაზეთები კი ამ გამარჯვებას ერთის მხრით იმ გარემოებას აბრალებენ, რომ პა-დე-კალეს დეპარტამენტში საზოგადოთ სხვა ყველა დეპარტამენტებზე უფრო მომეტებული ბონაპარტიელები არიანო, და მეორეს მხრით ამის, რომ მართებლობა და ლეგიტიმისტები ამორჩევების დროს შეერთდნენ და ისე ეწინაღმდეგებოდნენ რესპუბლიკელ კანდიდატსაო. Iაიც გამარჯვებათ მიაჩნიათ რესპუბლიკელებს, რომ ამ ამორჩევებში ამდენი კენჭი იყო იმათ სასარგებლოთ.

ფრანცუზულ გაზეთებში იწერებიან, რომ გაიხსნება თუ არა ნაციონალური კრების სხდომები, მაკ-მაჰონი ეპისტოლეს მისწერს კრებასაო და გარდაწყვეტით მოითხოვსო, რომ იმის უფლებები და კონსტიტუციური კანონები განსაზღვრონ და განიხილონო.

## ესპანია

ერთს ფრანცუზულ გაზეთში პორტუგალიიდამ გამოგზავნილი დეპეშაა დაბეჭდილი, რომლიდამაც ვტყობულობთ, ვითომც ესპანიისა და გერმანიის ელჩებს წინადადება მიეცესთ პორტუგალიის მეფისათვის, რომ ესპანიის გვირგვინი მიიღოს; ამასთანავე გადაკვრით უთქვამთ: თუ ამაზე არ დათანხმდები, მაშინ გერმანია ეცდებაო, რომ ესპანიაში რესპუბლიკური მმართებლობა დამკვიდრდესო. ზემოხსენებული გაზეთის დეპეშა გვაცნობებს, რომ პორტუგალიის მეფეს ამ წინადადებაზე უარი უთქვამს.

## გერმანია

ბერლინში გამოაცხადეს გერმანიის Iმპერატორის განკარგულება, რომლის ძალით ალზას-ლოტარინგიას უფლება მიენიჭება, რომ ყველა იმ საქმეების განსახილველად და კანონების გამოსაცემად, რომელნიც ამ პროვინციებს შეეხება, უნდა ამოარჩიონ ყოველი მაზრიდამ თითო კაცი, და ამ ნაირად 30 კაცისაგან შესდგება იქაური გამგეობა (პარლამენტი). უმთავრესი ზედხედველობა და გამგეობა ამ ქვეყნებისა კი გერმანიას ექნება მინიჭებული.

---

## საქართველოს ცხოვრებიდგან

სტატია II

ქართველები მონგოლების ხელში

1231 წელს მონგოლებმა აღმოსავლეთის საქართველო სრულიად დაიპყრეს, მაგრამ დასავლეთის საქართველო ჯერ არ იყო დაპყრობილი მონგოლებისთვის დამორჩილების დროს ქართველებმა პირობა მისცეს, რომ ომში მოგეხმარებითო. ამისთვის 1231 წლიდამ მოკიდებული მთელს მონგოლების ძლიერობის პერიოდში აღმოსავლეთის ქართველები განუყრელად იმათ ჯარებში იყვნენ და ძალიან დიდი მეომრობის სახელი და მონგოლებისაგან პატივი დაიმსახურეს. რადგან ამ აზრს ფაქტები უფრო კარგად დაამტკიცებენ, ამისთვის მე განზრახვა მაქვს, რომ ყოველთვის იმათზე მივათითო.

ამ დროს მცირე აზია თურქებს—სელჯუკებს დაეჭირად; სულთნათ იყო Uიასდინი (ზაიატ-მდინი). მონგოლები ამხედრდნენ ამ სულთანის წინააღმდეგ და ქართველების ჯარებიც მიიშველეს. Uიასდინის ჯარების სპასალარი იყო ათვბაზი Dარდანი, შარვანის ძე, და შალვა ახალციხელის შვილი Fარადავლა, რომელიც მამის სიკვდილის შემდეგ საბერძნეთში გაიქცა: ჯარები შეიყარნენ. „ქართველნი უპირატეს და უმხნეს ეწყვეს და იქმნა ომი სასტიკი.“ მონგოლებმა და ქართველებმა გაიმარჯვეს. Fარადავლა და Dარდანი ორივენი დაიხოცნენ. სულთანი Uიასდინი გაიქცა. მაგრამ მონგოლები და ქართველები უკან მიჰყვნენ. სულთანი შევიდა Iკონიის ქალაქში და ძლიერ გაამაგრა. ომი ასტყდა ახლა ქალაქის კარების წინ. აქ ძლიერ დიდი ვაჟკაცობა, მხნეობა და შემართებლობა გამოიჩინეს ქართველებმა. თავის ჩვეულებისამებრ, ქართველები დასტობით გამოდიოდნენ და დიდის სიამოვნებით, ხალისით, მხნედ და ვაჟკაცურად ეომებოდნენ Uიასდინს. მონგოლებს უხაროდათ, რომ ქართველები ასრე ძლიერნი და ვაჟკაცნი არიან ომში. ომი ქალაქის წინ დიდხანს გაგრძელდა. ქართველებს ომი თამაშად მიაჩნდათ, იმისთვის მუდამ ჩალისობდნენ (маневрировали) და იბრძოდნენ. „ძლიერი და სახელოვანი ჩალისობა გარდაიხადეს მრავალთა დღეთა მათ სახელოვანთა ქართველთა, ამბობს „ქართლის ცხოვრება“ 364 კაბადონზე. ქართველები და მონგოლები არ მოეშვნენ Uიასდინს, ვიდრე უძვირფასეს თვალ-მარგალიტს და სხვა ძღვენს არ მისცემდა.

ამ ომის შემდეგ მონგოლები დაბრუნდნენ თავის საზაფხულო ზელაქუნს, რომელიც არის სომხეთში არარატის მახლობლივ; ქართველები კი საქართველოში დარჩნენ.

მონგოლებმა რომ გამოსცადეს ქართველების ვაჟკაცობა და შემმართებლობა, მოინდომეს დასავლეთის საქართველოს დამორჩილებაც სისხლის დაუღვრელად. Iმათ ენანებოდათ მეომარი ქართველის მოკვლა, ამისთვის რომ ქართველები, როგორც ძლიერი მეომარი ხალხი, იმათთვის საჭირო იყო ლაშქრობაში; აი ამ მიზეზით Iმერეთში მყოფს რუსუდანს სთხოვეს, რომ შეგვირიგდიო. რუსუდანი თანახმა გახდა, მაგრამ მხოლოთ იმ პირობით, რომ იმისი შვილი Dავით ნარინი საქართველოში მეფედ დაესვათ. რუსუდანი მოვიდა Tფილისში და მოიყვანა თავისი შვილი. Iმას წინ მიეგებნენ მანდატურთ-უხუცესი, ავაქ ამირ-სპასალარი, შოთა კუპრი, ვარამი, Tორელი, ქართლის ერისთავი გრიგოლ სურამელი, სამცხის სპასალარი და მეჭურჭლეთ-უხუცესი (министръ финансовъ), Uვარყვარე Cიხის-ჯვრელი, სარგის თმოგველი, შ.ვშ-ქლარჯნი და ტაოელნი. Tფილისიდგამ; რუსუდანმა თავის შვილს Dავითს თან გაატანა ყოველნი მთავარნი ლიხთ იმერელნი, Dადიანი Cოტანე, ბედიანი რაჭის ერისთავი, გურიელი და გაგზავნა ახლანდელ განჯა ქალაქის მახლობლივ ყმოფ ქალაქს ბ ა რ დ ა ვ ს. მონგოლებმა Dავითს ჯარები მიაგებეს და ერთი ყოფით და დიდებით მიიყვანეს თავის ბანაკში.

როცა ამ სახით მონგოლებმა მთლად დაიჭირეს საქართველო, 1251 წელს გაუგზავნეს კიტაის (ჩინეთში) ყარაყურუმს მ.ნ. გუყ-აენს მოციქული, აცნობეს საქართველოსი, სპარსეთისა და საბერძნეთის დაპყრობა. ამ მოციქულს გაატანეს დიადი მოკაზმული ქართული ქუდი, იბჯარი, ტანისამოსი და მისწერეს წერილი; ამ წიგნში ეწერა: „ქართველნი სულიად მოვიდეს, მეფე და ერთობილნი ქართველნი, რომელთა აქვსთ ჰსჯული კეთილი, და ტყუილსა ელტვიან, და მწამლველი და მხიბლავი კაცი არცათუ სახელ იდების მათ შორის; ხოლო სპარსნი არიან ცრუ მოღალატენი, ფიცისა არა შემნახავნი და ურცხვინოდ მამათ-მავალნი.“ ეს მოციქული ჯერ რუსეთში ბათო-ყაენთან მივიდა, და მერმე ამან მანგუ-ყაენს გაუგზავნა. მოციქულის მისვლა მანგუ-ყაენს ძლიერ გაუხარდა და ქართული ჩაბალახი რომ ნახა, ძლიერ გაუკვირდა, და ასრე მოსწერა საქართველოში მყოფ ნოინებს: „ვინაიდგან ქართველები წყობათა შინა კეთილად გიხილავნ და ტყუილი არა არს მათ შორის, და მ..ნდობა იციან, და მხნენი არიან ბრძოლათა შინა, თქვენ გვერდით იპყრენით, მტერთა თქვენთა ზედა ბრძოლად; ხოლო სპარსნი მოსწყვიდენით, და მის ქვეყანისა თავადნი აქა წარმოგზავნეთ.“

ელჩმა მანგუ-ყაენისაგან ეს ამბავი რომ მოიტანა—რისთვის „ქართლის ცხოვრება“ არ ამბობს—აქაურმა ნოინებმა ავაგი ამირ-სპასალარი (фельдъ-маршалъ) რუსეთში ბ თო ყაენს გაუგზავნეს. ავაგი გამგზავრა და თან ეჯიბათ (камергеръ) ახალციხელი აზნაურშვილი Dავითი წაიყვანა. რადგან სპარსელების ამოწყვეტის ბძანება იყო მოსული და ავაგმა არ იცოდა ის რათ გაგზავნეს ბათოსთან, ამისთვის ძალიან შიშობდა, არ მოგვკლასო. ამ გვარს გასაჭირს მდგომარეობაში გასაკვირს, მამულის სიყვარულისა გამო, თავგანწირულებითს მაგალითს წარმოგვიდგენს მამაცი Dავითი. Iმან უთხრა ავაგს: რადგან ჩვენ უცხო ნათესავში მოვედით და არ ვიცით, თუ რა მოგველის, ამისთვის ძალიან კარგი იქნება, რომ მე შენი პატრონი და ბატონი გავხდე და შენ იქმნე ჩემი მონა. შენი სიცოცხლე საქართველოს ბედნიერებისთვის საჭირო არის. Tუ შენ მოკვდები, მაშინ ჩვენი საქართველო დაიღუპება: შენ რომ მოგკლავენ, მაშინ საქართველოსაც ამოწყვეტავენ; ამისთვის მიიღე ჩემი რჩევა. ავაგმა ჯერ ძლიერ დიდი უარი უთხრა, მაგრამ მერმე დიდის მუდარის შემდეგ დაეთანხმა Dავითს. მაშინ Dავითი წინ მიუძღვა ავაგს და შევიდნენ ბათოსთან. ბათოს ძლიერ გაუხარდა იმათი ნახვა და დიდი პატივი სცაბათოსაგან კეთილის ყოფა რომ სცნეს და სიკვდილისაგან უშიშ იქმნენ, ერთ დღეს ბათომ რომ მიიწვია სასახლეში, ახლა ავაგი წინ წარუძღვა Dავითს და წარსდგა ბათოს წინ. ბათოს ეწყინა და უთხრა ავაგს: „არასადამე მეცნიერ ხარ, ვითარმედ პატრონი არის შენი, ყომელი უკანის შენსა დგას, და შენ წინ წარმოსძღვალი ხარო? ხოლო Dავით ღიმილით ეტყოდა: დიდო და გამარჯვებულო ხელმწიფეო! მგე არს პატრონი, და მე მონა მისი.“ ბათოს გაუკვირდა და ჰკითხა მიზეზი. Dავითმა უთხრა, რომ არ ვიცოდით რას გვიზამდიო, და ამისთვის თუ ჩვენს მოკვლას ინებებდი, ჩემი თავი მოგეკლა და არა პატრონი ჩემი. ბათოს ისრე გაუკვირდა ქართველების ბატონისთვის ერთგულება, რომ უთხრა: რადგან ქართველები ეგრეთი ერთგულნი ყოფილხართ, მე გავცემ ბრძანებას, რომ რაც ხალხები არიან ჩვენს მორჩილებაში, ყველაზე უფრო უწარჩინებულესად თქვენ დაგიჭირნე, და ყოველთა უპატიოსნესად აღგრაცხე, და მამული და საქონელი თქვენთა ხელთა იყოს და ყოველსა საქმესა შინა მისანდონი იყვნეთ ჩვენგანო. ამის შემდეგ მაშინვე შეადგინეს განჩინება და მისწერეს ყარაყუმში მანგუ-ყაენს, რომ ქართველებს დიდ პატივსა სცემდნენ, არას აწყენინებდნენ („ქართ. ცხოვ.“ 365 და 366 გვერ.)

ამის შემდეგ ქართველების ჯარები ოთხმა მონგოლების ღენერალმა—ნოინმა—ოთხად გაიყვეს და ეგრეთვე ერისთავნი ამა ქვეყნისანი თვითოეულმან მიითვალა და რასაც ამათგან ხარჯს აიღებდნენ, ყაინს უგზავნიდნენ და ესრედ მცირედ-მცირედ იწყო ქვეყანამან დაწყნარება (იხ. 362 გვერ). მონგოლების ნოინებმა ქართველების ჯარები ორათ გაიყვეს და ნახევარს ერთ წელს იმსახურებდნენ და ნახევარსაც მეორე წელს. მონგოლები ამ დროს ომობდნენ სირიაში და საბერძნეთში და ეს ქართველების ჯარებიც თანა ჰყვანდნენ და ომობდნენ. მაგრამ ამაზე შემდეგს სტატიაში ვილაპარაკოთ.

Iნგილო ჯანაშვილი

# ნარევი

წელიწადი არ გავა, რომ ინგლისის ინდოეთში თუ ერთსა და თუ მეორე მაზრაში არეულობა არ მოხდეს, რადგან იქაური ხალხი ძალიან შევიწროებულია ინგლისელებისაგან. ამ ახლო ხანშიაც მომხდარა იქ არეულობა, მოთავეთ ერთი იქაური ფაშა ყოფილა, იმას სხვებიც მიმხრობია და მოუნდომებიათ ინგლისის მფლობელობისაგან განთავისუფლება. ინგლისის მთავრობას ეს არეულობა დაუმშვიდებია, მოთავე დაუჭერია და ჩამოუხრჩვია.

***

პარიჟში ისეთი დიდი ვირთაგვები გაჩენილან, რომ ვერც კატები და ვერც მონადირე ძაღლები ვერ ეკარებიან თურმე. ეს თაგვები განსაკუთრებით იმ არხებში და თხრილებში გამრავლებულა თურმე, რომელიც პარიჟის მიწის ქვეშ არის გაყვანილი. ამათ „რუსის თაგვებს“ ეძახიან. ერთი გერმანიული სამასხარო გაზეთი ამბობს ამის თაობაზე, რომ ნუ დახოცენ ფრანცუზები ამ თაგვებს, ვინ იცის, იქნება მეორეთაც გამოადგებაო.

***

იტალიის პარლამენტში კანონის პროექტი შეუტანიათ და უნდათ თურმე, რომ იტალიის შემაერთებელს, გარიბალდის, სამუდამოდ პენსია გაუჩინონ. ეს შეწეობა, მთავრობის მხრით კი არა, თვითონ ხალხის მხრით იქნება და ამიტომ იმედი აქვთ, რომ გარიბალდი, რომელიც ძალიან სიღარიბეში არის, ამ ხალხის საჩუქარს უარს არა ჰყოფს.

***

ლონდონში ისყიდება ადრინდელი ესპანიის დედოფლის იზაბელას თვალ-მარგალიტი და ალმასები. ამბობენ, სულ თორმეტი მილიონის ნივთეულობა არისო.

***

მოგვყავს უფ. თეოფილე ჰანდელაკისაგან შეკრებილი რამდენიმე „სანარევო“ ამბავი:

სოფლებში ჩვეულებასავით აქვსთ: ბავშს რომ, ანბანს დააწყებინებენ, მდინარე წყალში ჩაადგმევინებენ ფეხს, ვითომ როგორც მდინარე მირბის, ისე ჩქარა დაისწავლის კითხვასაო. ამას წინათ ერთს სოფელში ხუთი წლის ბავშვი კინაღამ დაეხრჩოთ თურმე: ჩაადგმევინეს ამ ბავშს ფეხი დიდ და ჩქარ წყალში; „უარ“—ის (უ) შემდეგ „შინ“—ო (შ) დაუძახა მამამ; გაციებული ბავში წამოხტომას აპირებდა, იფიქრა, შინ უნდა წავიდეო; მამამ ერთი წაუთავაზა ბავშს ფეხი დაუსხლტა და წყალში ჩაყურყუმალდა. მაგრამ როგორც იყო, ამოათრიეს გაყინული ყმაწვილი.

***

„ბაყაყი რომ ნოკლა, მაშინვე წვიმა მოვაო,“ იციან სოფელში. რას გვიკეთებენ ამდენი ბაყაყები? დავხოცოთ ზოგიერთები, მაინც ბევრი დარჩება. მარტო ქუთაისის ბულვარის ბაყაყები იქნება საკმაო, რომ ერთი თფილისი მორწყას წვიმით, რომ ასე საშინელი მტვერია.

***

„ნეტაი მე ღვინო მომეჩვენებოდეს ისე, როგორც კვირიკობ-მარიამობის თვეში ქორს წყალი ცეცხლად ეჩვენება და ვერ სვამს; მაინც ძვირია ჩვენში ღვინო და მერე თუნდა სრულიადაც ნუ მოვაო, ამბობდა ერთი ჩვენებური კაცი. სოფელში იტყვიან, რომ წყლის გაჩენაზე ყველა ფრინველი ეხმარებოდა ღმერთს, მხოლოდ ქორმა არ იკადრა თავისი ყვითელი კლანჭების ტალახში გასვრაო, ამისათვის ის დაწყევლილია, ორ თვეს წყალს ვერ დალევსო.

***

მეგრელს რომ ჰკითხო, რა უფრო გიყვარსო, გეტყვისთ: მე, პერტენი, ქალამანი, ქურდობია, ჰამობია და ძინობია; გურულს: წუღა, „ელელი, კაი მაჭახელაი და მისი ჯანი“; იმერელს:—ოქროს ქილები, კაპოეტი მიმინო და მწევარ-მეძებარი; აფხაზს:—ბუზმენტებიანი მესტები, „ქოსხაპი და დოღური“ (იცეკვე და მოკვდი;) ქართველს:—კრივი, გინება, თუნგი ღვინო და ჯამი ხელში; სომეხს—„ფულმა“, ზურნა და დიპლიპიტო; რაჭველს:—ლორი და ზაზანდარი; ახალგაზდა ქალს:—სარკე და საარშიყო ლექსები.

# განცხადებანი


დაბა ზუგდიდში მიიღებიან რვიდამ თორმეტის წლის ყმაწვილები, რომელთაც ამზადებენ მისაღებელად პირველს სამს კლასში რეალურს და კლასსიკურს გიმნაზიებში.

მსურველთა შეუძლიანთ მიიქცენ მეუღლე მიროვის პოსრედნიკისა ე. კ. ქავთარაძისასთან.

**შვეიცარიის მაღაზიაში** სამშაბათობით და პარასკეობით ისყიდება **კარაქი**, თოთხმეტ შაურათ გირვანქა, გოლოვინსკის პროსპექტზედ, ორბელიანის სახლში.

ჩუღურეთში და დიდუბეში **ისყიდება ზომიერ ფასად სამოსახლო ადგილები**, რომელიც ეკუთვნის სტატსკის სოვეტნიკის ცოლს ეკატერინა ნადიროვისას. შეუძლიანთ იყიდონ ვისაც რამდენი სურს, ფასის შეტყობა ნადიროვის მაღაზიაში, ერევნის მეიდანზედ, თამამშოვის ქარვასლის პირდაპირ შეიძლება.

**ბიბლიოგრაფიული ცნობა.**

იბეჭდება და მოკლე დროში გამოვა გასასყიდათ **„საყმაწვილო კონა“** ანუ პირველ-დაწყებითი მოთხრობანი ბუნების მეცნიერებიდგან. პირველი ნაწილი, **შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან.**

უფ—ნი ალიხანოვი, მიზანდარი და სავანელი ამ წლის პირველის ოკტომბრიდგან მიიწვევენ იმათ, ვისაც სიმღერისა და ფორტეპიანოზედ თამაშის სწავლა სურს, შაბას შკოლაში, პოლიციის ქუჩზედ, მირზოევის სახლებში, რომელიც წინეთ კრიჟანოვსკის იყო.

პირობები შეიძლება შეიტყონ დილის ცხრა საათიდგან ნაშუადღევის ორ საათამდის, ხსენებულს შკოლაში, სადაც მსურველები დროზე უნდა ჩაეწერონ.

გვაქვს პატივი ცნობისა თფილისის საზოგადოებისა, რომ ჩვენ მიერ გახსნილ იქმნა მაღაზია ფირმის ქვეშ:

„მაღაზია“

**რუსეთის—ამერიკის ვაჭრობისა**
**ს. ბეთანელისა, ა. ვართანოვისა და კ°**

ამა მაღაზიაში ახლო ხანს მიღებულ იქმნენ წარმოებანი ამერიკის ფაბრიკებისა, რომელთა თანა ჩვენ ვიმყოფებით უპირველეს ვაჭრულ კავშირში. მსე ვითარი წარმოებანი არიან: მაშინა სარეცხის გასარეცხი და გასაწურავი, მაშინა ხორბლის, ქერის და სხვა დასათესი, ყავის ჰსწრაფათ დასაფქვავი წისქვილები, სხვა და სხვა ნაირი ხერხები, ჩაქუჩები, კლიტეები, ფოლადის ნიჩბები და ორთითები, მაშინები ვაშლის გასაფცქვნელი, ალუბლის და ბალის კურკის გამოსაღები და სხვა და სხვა.

ყველა საგნებზე, რომელნიც არიან მაღაზიაში, ვითარც ნიმუშნი, ფასები აღნიშნულნი არიან შესაძლებ იაფნი; გარნა ესე ვითარნი ნიმუშნი არ იქნებიან განსყიდულ, ხოლო უკეთუ ვინმე ისურვებს რომელსამე ამ საგანთა ყიდვას, ანუ გამოწერას წერილად ვაჭრობისათვის, უმორჩილესად ვჰსთხოვთ ჩვენ შემოგვეკითოს.

ზაკაზს, გინა მოთხოვნილებას მყოფი საგნებისას, ევრეთვე მათ, რომელნიც აღნიშნულ არიან მაღაზიის კატალოგში, გამოგზავნილ ფაბრიკანტების მიერ, ჩვენ აღუსრულებთ კეთილ სინიდისით; რაიცა შეეხება საქონლის თვისებას და ხელოვნებას, ვინ არ უწყის სურვილი ამერიკელთა, მეცადინეთა, რათა რომ იყვნენ ყოველ ხელოვნებაში უპირველესნი და ქებულნი.

მაღაზია ჩვენი იმყოფება ქ. თფილისში, სასახლის ქუჩაში, არწრუნის ქარვასლაში, № 159.—

მომავალს თვეში გამოვა გასასყიდად
ახლად დაბეჭდილი

**ვეფხვის ტყაოსანი**

**ვახტანგ მეფისაგან**
დაბეჭდილს ვეფხვის ტყაოსანთან,
შესწორებული.
გამოცემული
**არსენ კალანდაძისა**
**და ამხანაგობისაგან.**

**ისყიდება**
ენფიანჯიანცის წიგნის მაღაზიაში
რუსული წიგნი
**გრამმატიკული ლიტერატურა**
**ქართულის ენისა**
კრიტიკული მიმოხილვა
**ალ. ცაგარელისა.**
ფასი სამი აბაზი.

**ადვოკატი** ვასილი ალექსეიჩი **ლუკაშევსკი** იღებს სამოქალაქო საქმეებს და მათ შორის მეჟევანიისასა საწარმოებლად როგორათაც თფილისის ოკრუჟნის სუდში, აგრეთვე თფილისის გუბერნიის მიროვოის სუდებსა. შანა ვისაც აქვს სურვილი საქმის მინდობილებისა, შეუძლიანთ ნახონ იგი, ლუკაშევსკი, სახლსა თავადის მუხრანსკისა № 9, ზევით ეტაჟაში, გოლოვინსკის პროსპექტზედ, ხუთი საათიდან ვიდრე რვა საათამდისინ, საღამოს დროს.

**ბანდაჟისტი მათიას ფშორრი გერმანიიდგან**, განოვის ქუჩაში, პოლიციის ახლოს გადმოვიდა ახალ მაღაზიაში. აკეთებს ყოველ გვარ **ბანდაჟს**, ახალ **კარსეთებს** ჰკერავს და ძველს **აახლებს**; აქვე **ფერჩატკების** რეცხვა შეიძლება; ყოველსავე ამას სხვა ადგილებზე **ნაკლებ ფასათ** მიიღებს. აქვე ისყიდება პირველი სორტის **წყილის წამალი**, გირვანქა ორ აბაზათ.


## ოძისის გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობა.

### შვიდი თვის ანგარიში

21 მარტიდამ 21-ს ოქტომბრამდე 1874. წ.
ამხანაგობაში ირიცხება წევრად ორას სამოცი კაცი.

ა.) შემოსავალი

1.) წევრთაგან შემოტანილი საწილო ფული . . . . . . . 1507 მ. 80 კ.
2.) სესხი, რომელიც ამხანაგობამ აიღო დამფუძნეველთაგან . . 1500 მ.
3.) ამხანაგობამ ისესხა ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისაგან და კერძო პირთაგან. . 2110 მ.
4.) სასარგებლოდ შეტანილია კერძო პ რისაგან . . . . . . 40 მ.
5.) სარგებელი აღებული გასესხებულის ფულისაგან . . . 295 მ. 50 კ.
6.) დაბრუნდა სესხი ახალ ვადა მიუცემელი . . . . . . . 605 მ.

სულ შემოსულა 6,508 მ. 30 კ.

ბ.) გასავალი

1.) გასესხებულა . . . . . 4,925 მ.
2.) შეტანილია თფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში... 150 მ.
3.) სარგებელი მიცემული ნასესხზედ ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში . . . . 42 მ. 46 კ
4.) დახარჯულა გამგეობაზედ. . 300 მ. 50 კ
5.) სარგებელი დაბრუნდა ვადაზედ წინათ გარდახდილის ნასესხისა . . . 2 მ.

სულ გასულა 5,419 მ. 96 კ.

გ.) კასსა.

1.) შეტანილია ტფილისის სავაჭრო ბანკში . . . . . . . . 100 მ.
2.) ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებამ გამოგვირიცხა წესდების თანახმად. . . . . 5 მ. 30 კ.
3.) ნაღდი ფული არის კასსაში .. 533 მ. 4 კ.

სულ 638 მ. 34 კ.
გასავალი არის 5,419 მ. 96 კ.

ერთიანი ჯამი 6,058 მ. 30 კ.

გამგენნი: { მ. ქადაგოვი. / გ. ოსეფოვი.

| რკ.გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი . | 8 | 18 | 8 | 17 | | | | |
| მცხეთა. . . | 9 | 18 | 10 | — | - | 68 | - | 38 |
| გორი . . | 11 | 39 | 1 | 43 | 2 | 40 | 1 | 23 |
| სურამი . . | 1 | 52 | 4 | 30 | 3 | 92 | 2 | 18 |
| ბეჟათუბანი | 3 | 45 | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა . | 6 | 49 | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| ქუთაისი. . | 7 | 55 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია . | 9 | 2 | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახ.-სენაკი . | 10 | | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი. . . | 11 | | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი . . | 7 | 38 | | | | | | |
| ახ.-სენაკი. | 9 | 11 | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია. | 10 | 12 | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| ქუთაისი . | 11 | 17 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა . | 12 | 38 | | | 3 | 98 | 2 | 21 |
| ბეჟათუბანი | 3 | 27 | დილა | | 5 | 33 | 2 | 96 |
| სურამი . . | 4 | 57 | 7 | 35 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი . . | 7 | 23 | 10 | 12 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა . . | 9 | 52 | 1 | 49 | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი . | 10 | 49 | 3 | 32 | 9 | 75 | 5 | 42 |

**ცეცხლის გემები**

ა) ფოთიდამ:
ოდესისკენ—კვირა საღამ. 6 საათ.
სტამბოლს—კვირაობით დილას.

ბ) სოხუმიდამ:
ფოთს—ორშაბათს, ღამით.
ოდესას—სამშაბათს, გათენებისას

გ) ბაქოდამ:
ასტრახნისკენ—სამშ. ხუთშ. დილ.
ასტრაბადისკენ—კვირა შუაღამეს.

| ტელეგრაფი | მ. | კაპ |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| ქუთაისს, ფოთს . . . | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნახს | | 50 |
| როსტოვს ოდესას მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას . . | 3 | — |
| სპარსეთში . . . . . . | 5 | 76 |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში. | 3 | 50 |
| ინგლისში . . . . . . | 4 | — |

**ფოსტა**

ა) თფილისიდამ:
სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ოთხშ., ოზურგეთს — პარასკ და ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაფ. და შაბ. კახეთს — სამშ. და შაბ.

ბ) ქუთაისიდამ:
ყოველგან—ორშაბ. ამას გარდა თფილისს და რუსეთს — ოთხშაბ. და პარასკ. ფოთს და სოხუმს—ხუთშაბ. და შაბათ. (საღამომდი.)

გ) გორიდამ.
ყოველგან—ორშაბ. ოთხშაბ. და პარასკეობით (საღამოს შვიდ საათამდე.)

დ) ფოთიდამ:
ყოველგან—ყოველ დღე.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში: | კაპ |
|---|---|
| ღია წიგნის . . . . . . . . | 5 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) . | 10 |

| ბირჟა | მან. | კაპ |
|---|---|---|
| პეტერბურგი, 1 ოქტომბ. | | |
| ერთი მანეთი ღირს: | | |
| ლონდონში $33\frac{1}{2}$ პენსი. | — | 84 |
| პარიჟში 351 სანტიმი. | — | 89 |
| ესკონტი(სარგებლისფასი) | 5 | — |
| ბანკის ბილეთი 5% | 98 | |
| მოგებიანი(პირველისესხი) | 178 | |
| მოგებიანი (მეორე სესხი) | 174 | 25 |
| გირაოს ფურცლები: | | |
| ხერსონის ბანკის ($5\frac{1}{2}$) | 83 | 75 |
| მოსკოვის (5%). . . | 86 | 50 |
| აქციები: | | |
| ოდესის სავაჭრო ბანკის. | 230 | — |
| ფოთი-თფილ.რკინ. გზის | 132 | 50 |
| შავიზღვის ცეცხ. გემების | 560 | — |
| კავკაზის და მერკურის. . | 168 | — |
| პირვ. უზრუნვ.მყოფი საზ. | 665 | — |
| პეტერბ. უზრ. მყოფი საზ. | 263 | — |
| მოსკოვისუზრ.მყოფი საზ. | 257 | 65 |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| თფილისი, 7 ნოემ. | | |
| პური განჯისა . . | 1 | 10 |
| ქერი. . . . . | — | 65 |
| ბამბა ერევნისა . . | 4 | 50 |
| —ამერიკისა . . | 6 | 80 |
| გაპენტილი ბამბა . | 8 | — |
| მატყლი თუშური . | 6 | — |
| —თარაქამისა . . | 3 | 80 |
| აბრეშუმი ნუხური . | 3 | — |
| ქონი . . . . | 4 | 50 |
| ქონის სანთელი . . | 6 | — |
| სტეარინის სანთელი . | 10 | 20 |
| ხორცი ძროხისა . | — | 45 |
| —ცხვრისა . . | — | 55 |
| სპირტი . . . . | 7 | — |
| შაქარი კარგი . . | 8 | 55 |
| —ფხვნილი . . | 7 | |
| ყავა გრგვალი . | 19 | 50 |
| ზეთი ქუნჯუთისა . | 6 | — |
| ოქრო . . . | 5 | 90 |

**„დროების“ ფოჩტა**

— უფ. მ—ს, ო—ს. იწერებით, რომ სტატიებს გზავნით და ყველა არ იბეჭდებაო; ამბობთ, „დროებაში“ ჩემ სტატიებზე უფრო სუსტი სტატიები იბეჭდებაო. ეს თქვენი აზრია; ჰგავს, ჩვენი აზრი სხვა ყოფილა. ყვავს თავისი ბარხალა უფრო მოსწონს...

— იმასვე. „თქვენი დაკვირვება“ შემდეგ ნომერში დაიბეჭდება.—მალე ახალი გამოცემა იქნება „ვეფხვის ტყაოსნისა“ და იმას გამოგიგზავნით.

— კორრესპ. XIX-საუკუნისა, ქ—ს. თქვენი კორრესპონდენცია სუსტია და იმიტომ არ იბეჭდება. რატომ თქვენ ნამდვილ გვარს არ იწერებით.

— მ. დ. ღ., შ—ს. თქვენი „წერილი რედაქტორთან“ ამ ნომერში უადგილობის გამო ვერ დავბეჭდეთ.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 8 Ноября 1874 г. Типографія Меликова и К°. გამომცემელნი ს. მელიქიშვილი და ს. მესხი. რედაქტორი ს. მესხი.